საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4926313001**

თარიღი:**09/11/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების სტაჟიორის ანასტასია ჩაკვეტაძისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებისა და სტაჟიორის ანასტასია ჩაკვეტაძის 2026 წლის 6 ნოემბრის N:19/49263107-49 პირადი განცხადების საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ანასტასია ჩაკვეტაძეს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების სტაჟიორს, პირადი მიზეზების გამო შეუჩერდეს სტაჟიორის უფლებამოსილება 3 სამუშაო დღე, 2026 წლის 9 ნოემბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით და არ გაიცეს სახელფასო ანაზღაურება აღნიშნულ პერიოდზე.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N 11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი